# სახალხო გაზეთი

№ 693 პარასკევი, 7 სექტემბერი 1912 წ. № 693

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადი მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი: № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.

1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.

თვეში ღირს — — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს

1-ლ ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა ფოსტის მარკა.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

## ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.

შაბათს, 8 სექტემბერს, დამსახურ. მსახ. ბ. ვ. ალექსი-მესხიშვილის და გამოჩენილ მესკრიპკის ქ-ნ თამარა ძნელაძის მონაწილეობით გაიმართება სალიტერატურო-სამუსიკო დილა სამ განყოფილებად:

1) შ. გოგებაშვილი წაიკითხავს ლექციას: „კოოპერაცია და მუნიციპალიზაცია“. 2) ვლ. ალ.-მესხიშვილი წაიკითხავს გოგოლის „შეშლილის წერილებს. ბ-ნნი ახოსპირელი, ქუჩიშვილი, ქ-ნი ო. ლეჟავა და 10 წლის მარო ირემაშვილი წაიკითხავენ ლექსებს.

3) სტუდენტი ი. იმერლიშვილი და მისი სამი შვილი ქართულ ტანისამოსით გამოწყობილნი იმღერებენ ქართულ სიმღერებს, ქ-ნი ძნელაძე დაუკრავს სკრიპკაზე, ბ-ნნი სადირაშვილი—თარზე და ფირუმიანი—ფლეიტას, რომელზედაც დამღერებს ახალ კუპლეტებს. დასასრულ ქართულ სამხანავო მომღერალთა გუნდი მიხეილ კავსაძის ლოტბარობით. ქულაჯებით გამოწყობილი შეასრულებს რამდენიმე ქართულ სიმღერას დასაწყ. შუადღის 12 ს. ადგილ. ფასი 20 კ. 1 მანეთამდე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

(1—661—1) გამგენი: ი. ირემაშვილი და არ. მეტრეველი.

## სასტუმრო „უნივერსალი“

(ძველად „მუხრანის ნომრები“) ტფილისში, გოლოვინის პროს. სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლად გადაკეთებული მშვენივრად; დიდ-დ სახერხო ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრებზე და აივანებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 40 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. ტელეფ. № 499. (25.1181.1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| [illegible] | ლამბაშიძე გ. დ. (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2. |
| | ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | მანსვეტაშვილი გ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. |
| | ფიდოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | მარკოვიჩი გ. ლ. კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| | ფირალოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1. |
| [illegible] | ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირალოვისა ლ. (ყოველ დღე) 11—12. |
| | მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1. |
| | სულხანოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1. |
| | თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | ლამბაშიძე გ. დ. (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. |
| | მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1. |
| | ფიდოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] | გედევანიშვილი მ. ა. (შაბათობით) 10½—11. |
| | დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2. |
| [illegible] | ათენიანცი ნ. ა. (ყოველ დღე) 1—2. |
| | ოროშოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3. |
| [illegible] | მუსხელიშვილი გ. ს. (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| [illegible] | მზარეულიშვილი მ. ი. (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროსკოპიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეაქციისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კათეტერიზაცია; „606“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ. 1010.102)

## შეიძლება დაკვეთა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.

ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.
ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
ფოთში—იონა მეუნარგიასთან. ✦ თელავში—თამარ აბაშიძესთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან. ✦ ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან. ✦ ბაქოში—ილია აგლაძესთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან. ✦ ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. ✦ ერევანში—ელენე ვირსალაძესთან
ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.
გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ბლელიშვილთან

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—153—3)

## ქ. შ. წ.-კ გამავრცელებელ საზოგადოების თელავის განყოფილების სკოლა

იწვევს მასწავლებელს პირველ განყოფილებისათვის, წელიწადში ჯამაგირად იქნება 300 მ., და ბინა გათბობა-განათებით. თხოვნები მიიღება განყოფილების გამგეობაში ქ. თელავში—15 სექტემბრამდე. (2.1488.1)

## მიიღება ხელის მოწერა „მოლიკულ გზაზე“ ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ ერთი მანეთი, შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის“ კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. „იმერეთის“ ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. ადრესი: Гори, Анастасiи Хоштарiя. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—456—5)

## აგენტი მ. ა. გაჩეჩილაძე... 

## აგენტი მ. ა. გაუონია

ღებულობს როგორც ტფილისის, ისე ტფილისს გარეთ გაზეთებისათვის ყოველ-ნაირ განცხადებებს.

ადრესი: 1. მიხეილის პრ., სასტუმრ. „ვეტცელი“, ტელეფ. 3—80. (10.1436.1„) 2. ვაკე, საკუთ. სახ., ქართულ გიმნაზიის ახლო, 9—25.

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

იყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:

| | |
|---|---|
| ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი 50 კ. | მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . . 35 „ |
| გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი . . . . . 85 „ | მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ჭიჭ. 20 „ |
| მოძრავი ანბანი—კარდონზე 30 „ | ფიზიკური გეოგრაფია . . 20 „ |
| ანბანი კუბიკებზე . . . 1 მ. | ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ. 50 „ |
| წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, . . . . . . 50 „ | ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ. სწავლება საღვთო სჯულზე, ყდ. 30 „ |
| წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . . . 25 „ | ახალი აღთქ. სამღ. ისტ., მისივე 40 „ |
| არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით . 40 „ | ძველ. აღთქ. სამღ. ისტ. მისივე 50 „ |
| იგივე ნაწილი II, ყდით . 50 „ | ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა წყვილი . . . . 5 „ |
| მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია 35 „ | ათასამდე ყოველი ასის ფასი 2 მ. 40 „ |
| | ათასზე მეტი ყოველი ასი 2 მ. 30 კ. |

ადრესი: Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.117)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა, ბოჩოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

წამლობა „606“-ით.

(წლ—1018—73

## ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბავშვო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9.

(25.595.18)

## საგურთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მოშავალ ხიდის პირდაპირ დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. დან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1020 376,

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედ. ქ., № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ.

(25—1178—907)

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლა-დამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი

## ე. გ. ქიქოძისა აძლევს მუსიკის (როიალი) გაკვეთილებს.

სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 11. (23.651.4)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—8)

## ექიმი პ. არდაზიანი

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.192).

## ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე (თ—10.49—137)

## ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.

## ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6

## ექიმი ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—7 საათ. გოლოვინის პრ. № 12. (თ.1334.7)

## ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა,№ 12.

## ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს ქ. თელავში. 3—9 საათამდე

## ექიმ ი. ე. ჯაშის კაბინეთი

შინაგანი და დედ. ავადმყ., სადოსტაქრო ავადმყ. ამბულატორიით მიიღებს 15 სექტემბრიდან —დილ. 8—11 საათ.; სად. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. წინანდელი სადეპეშო კანტორა. (25.1480.4)

## ექიმი ს. ი. გძელიშვილი

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბეზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—4)


## ქართული პრესა

„იმ წერილის გამო, რომელიც ქუთათურმა გაზეთმა უძღვნა ბ-ნ კიტა აბაშიძეს, „კოლხიდა“ სწერს:

გაზეთი „დილა“ კვლავ ინსინუაციებით და ცილის-წამებით სავსე წერილებსა ჰბეჭდავს თავის გაზეთის ფურცლებზე. ერთს ასეთს წერილად შეიძლება ჩაითვალოს გუშინდელი პრესა, სადაც ადამიანი განგებ, წინასწარ განზრახულ, შეთხზულ ჭორის მეტს ვერას იპოვის“.

არც გასაკვირველია! ოღონდ კითავიანთი მოწინააღმდეგენი დაამცირონ და არავითარ საშუალებას არ მოერიდებიან!.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ „სახალხო გაზეთის“ 692 ნომრის (6 ენკენისთვისა) დაჭერა. ხუთშაბათს, 6 ენკენისთვეს, ჩვენი გაზეთის რედაქციაში მოვიდა პოლიციის ბოქაული ერთის პოლიციელით და გამოაცხადა, საცენზურო კომიტეტის დადგენილებით დღევანდელი ნომერი უნდა დავიჭიროთო. ეს ამბავი ნაშუადღევის მესამე საათზე მოხდა. რადგან გაზეთის ნომრები უკვე გაგზავნილი იყო პროვინციაში და ქალაქშიაც გავრცელებული, პოლიციამ წაიღო კანტორაში დარჩენილი ნომრები გაზეთისა, სულ 52 ცალი. პოლიცია გაზეთების გამყიდველებსაც ართმევდა გაზეთის ნომრებსა.

✦ ხმოსანს კსარიევს აზრად მოჰსვლია ქალაქის საბჭოში წინადადება შეიტანოს, რომ ნაძალადევს სახელი გამოუცვალონ და უწოდონ „ზავოკზალიე“.

✦ ქალაქის ნამოურავალ თ-დ ვ. ნ. ჩერქეზიშვილის სახელობის სასწავლებლის გეგმა (განზრახულია აგონ ანდრეევის ქუჩაზე 400 მოწაფისათვის) ქალაქის საბჭოს სამოსწავლო კომისიამ მოიწონა. შენობის ასაგებად 80,000 მანეთია ნავარაუდევი. ამ გეგმის საბოლოოდ მისაღებად ამ დღეებში შეერთებული სხდომა ექნება ქალაქის გამგეობის სამოსწავლო და სკოლების ამგებ კომისიებს.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის კრება, რომელიც ამ თვის ხუთისათვის იყო დანიშნული, ვერ შესდგა წევრთა უმრავლესობის დაუსწრებლობისა გამო. ამიტომ შემდეგი კრება მოხდება 11 ენკენისთვისთვის საღამოს 7 საათზე.

### სასამართლო

✦ ი. პ. როსტომაშვილის საქმე. 18 ენკენისთვეს, ტფ. სამოსამართლო პალატაში, წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით, დანიშნულია გაზ. „სინათლის“ ნარედაქტორალ ივ. პ. როსტომაშვილის საქმის გარჩევა, რომელსაც ბრალსა სდებენ 129 მუხლის ძალითა.

როგორც მკითხველებს ეცოდინებათ, ბ-ნს როსტომაშვილს პალატამ ციმბირში გადასახლება მიუსაჯა, მაგრამ სენატმა ეს საქმე მეორედ განსახილველად დააბრუნა უკან. ი. როსტომაშვილს დაიცავს ნაფიცი ვექილი მ. ო. გრუზენბერგი.

### სომეხთა ცხოვრება

✦ შაბათს, 8 სექტემბერს, ფილოსოფიის დოქტორი ბ. ს. თარაიანი ტფილისში სომხურად წაიკითხავს ლექციას: „ფსიხოლოგიის დედა აზრი და მისი მნიშვნელობა“.

✦ სექტემბრიდან ტფილისის სომეხთა ნერსესიან სემინარია გადავიდა ახალ შენობაში. სწავლის დაწყებამდე სემინარიის დამფუძნებელ კათალიკოს ნერსეს მეხუთეს სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნა პანაშვიდი. სწავლა დაიწყება ცხრა ენკენისთვეს. შენობის კურთხევის დღე ჯერ არ დაუნიშნავთ.

✦ როგორც შევიტყვეთ, აგრონომი და სომხური გაზეთ „მშაკის“ რედაქტორი ალ. ქალანთარი, რომელსაც კანდიდატად ასახელებენ სახელმწიფო სათათბიროს წევრობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიდგავს ყუთს, თუ რომ საერთო კურიაში (ტფილისის გუბერნია) მას ხმას მისცემენ ქართველი ამომრჩევლებიც.

✦ გუშინ დაიწყო სომხური წარმოდგენები ზუბალოვის სახალხო სახლში.

✦ სომხურ დრამატიულ დასის წარმოდგენები ტფილისში დაიწყობა ღვინობისთვის 8-ს. მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

✦ წელს შესრულდა ათი წელიწადი, რაც ტფილისში არსებობს სომხური დრამატიული საზოგადოება და დასი. ამის გამო ზემოხსენებულ საზოგადოების გამგეობას განუზრახავს მოიწვიოს ამიერ კავკასიის სხვა და სხვა კუთხეებიდან სათეატრო მოღვაწენი საერთოდ სომხურ წარმოდგენების გაუმჯობესობის შესახებ მოსალაპარაკებლად. გარდა ამისა გაიმართება ერთი განსაკუთრებული წარმოდგენა.

### ბაქო

✦ ინჟენერ თალიშხანოვის მოკვლის საქმეს უკვე არჩევს სასამართლო.

### ყარსი

✦ აქ გაიხსნა საპედაგოგიო კურ-

**სები.** 40 მასწავლებელი ქალ-ვაჟი ესწრება.

## გორი

✦ დღეს, საზაფხულო კლუბის დარბაზში ლექტორი **გრ. რობაქიძე** წაიკითხავს ლექციას: „შოთა რუსთაველი“. ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

## სოფლად

✦ კვირას, 26 აგვისტოს წარმოადგინეს გულაზოვის მეთვალყურეობით გუნიას „და-ძმა“. წარმოდგენამ კათგად ჩაიარა. ცოტა წესრიგი აკლდა.

აქეთ დიდი გვალვაა.

## ქუთაისი.

✦ პალატამ გაასამართლა მასწავლებელი **რადიონ ძიძიგური**, რომელსაც ინსპექტორ მაჟნიკოვისადმი მუქარის წერილის გაგზავნა ბრალდებოდა. სასამართლომ ძიძიგური უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა. ძიძიგურს იცავდა ნაფიცი ვექილის თანაშემწე კოწია ჯაფარიძე. ძიძიგურს განზრახვა აქვს საჩივარი აღძრას ინსპექტორზე და მოსთხოვოს უსაფუძვლო ბრალდებისთვის ზარალის ანაზღაურება. ძიძიგური გამოძიების ქვეშ ზემო-აღნიშნულ საქმეზე დაახლოვებით ორი წელიწადი იჯდა ციხეში.

✦ ახალგაზდების ჯგუფმა, რომელიც შესდგა ქუთაისში და მიზნად დაისახა იაფ-ფასიან სახალხო წარმოდგენების მართვა - სახალხო უნივერსიტეტს წარუდგინა თავის მომავალი სამოქმედო გეგმა და დახმარება სთხოვა.

✦ ახლო მომავალში სრულიად დამთავრდება ქალაქის საავადმყოფოს ახალი შენობა.

✦ სექტემბრის შუა რიცხვებში, საზაფხულო შესვენების შემდეგ, პირველად მოხდება ქუთათურ ექიმთა საზოგადოების კრება.

✦ ქ-ნ კ. ფხაკაძეს კავკასიის სამოსწავლო მთავრობამ ნება დართო გახსნას დაბა ლანჩხუთში ქალების პროგიმნაზია. („დილა“).

✦ გუშინ 5 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ 2 წლის ციხე გადაუწყვიტა ზუგდიდის მაზრის ყოფილ წინამძღოლს თ. ვარადებულ აფაქიძეს.

✦ ხოჯივანოვის ქალთა კერძო პროგიმნაზიის მოწაფე ქალი კვირკელიას ასული, რომელსაც კლასში დარჩენა გამოუცხადეს, თავის მოკვლის განზრახვით რიონში გადავარდა 4 ენკენისთვეს, მაგრამ დროზე მიეშველნენ და გადაარჩინეს.

✦ გუშინწინ მოხდა ქუთ. დრამ. საზ. კრება. ამ კრებაზე გადაწყდა, რომ საზოგადოებას დასი ეყოლება. დასი იმით იქნება საინტერესო, რომ ბევრი ახალი ძალებია მოწვეული. პირველი წარმოდგენა გაიმართება არა უგვიანეს 25 სექტემბრისა. ყოველ ხუთშაბათობით გამართული იქნება სახალხო წარმოდგენა.

✦ **არჩევნების გარშემო.** სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები მაზრებსა და გუბერნიებში დანიშნულია 16-სა და 19 ენკენისთვეს. ოზურგეთში არჩევნები მოხდება 16 ენკენისთვეს და ლანჩხუთსა და ჩოხატაურში 19 ენკენისთვეს. შორაპნის მაზრაში ზესტაფონსა და ჩხარში მოხდება 16-ს და ხორაგაულსა და საჩხერეში 19 ენკენისთვეს. პირველ ორ არჩევნებზე თავმჯდომარედ იქნება თავ.-აზნაურთა წინამძღოლი, მეორეზე—მისი თანაშემწე.

✦ 1 ენკენისთვეს პეტერბურგიდან ოზურგეთს ჩასულა თ-დი ივ. ალ. ნაკაშიძე. მას დიდის პატივისცემით შეხვდრია საზოგადოება. („კოლხ.“)

## რედაქციისაგან

გორიდან რედაქციას მოუვიდა ორი წერილი: ერთი „ქართლი“-ს რედაქტორისადმი და მეორე ბ-ნ ვას. თაბუაშვილისადმი. წერილის ავტორი გვატყობინებს, ბ-ნი თაბუაშვილი საჯაროდ ჰყვიროდა, „სახალხო გაზეთი“-ს ყოფილმა თანამშრომელმა ბ-ნმა სვიმონ მაჭავარიანმა ხსენებული რედაქცია გაფუჭა. როდესაც მას პასუხი მოსთხოვეს „ქართლი“-ს შემწეობით, რედაქტორს, ბ-ნ იაკობ ცინცაძეს, წერილი არ დაუბეჭდია. არ ვიცით, რით ხელმძღვანელობდა ბ-ნი ცინცაძე, როდესაც წერილს არ უბეჭდავდა, მაგრამ ბ-ნ თაბუაშვილს და იმას, ვინც მას ასეთი ჭორი ჩააწვეთა ყურში, მოვახსენებთ, რომ ყოველივე ეს ზნეობრივად დაცემულისა და გახრწნილ ადამიანის მოგონილი ჭორია. ჩვენს გაზეთში წერილის გამომგზავნელს კი ვურჩევთ, თავა დაანებოს შეკითხვების წერას, რადგანაც ადამიანურ ღირსების დამამცირებლად უნდა მიაჩნდეს ანგარიშის გაწევა ისეთი ადამიანისა, რომელსაც სხვის საქმეში ჭუჭყიანი ხელის ფათური ხელობად გადუქცევია და თავის საკუთარ ჭუჭყს კი ვერა ჰხედავს.

## ჟურნალისტის დღიური

81.

**შურის-ძიება.**

მკითხველებს უეჭველია ეხსომებათ ის ინციდენტი, რომელიც გორის პროგიმნაზიაში მოხდა ინსპექტორის ზაალიშვილისა და ქართულ ენის მასწავლებლის კაპანაძის შორის. ამ ინციდენტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია თავად აზნაურთა საზოგადო კრებაზე. პატეთიური სიტყვები ბევრი წარმოითქვა, ორატორებს, რომელნიც ბ-ნ ზაალიშვილის საქციელსა ჰგმობდნენ, მთელი დარბაზი ტაშის კვრით ეგებებოდა. ერთსულოვანი იყო ხმა პროტესტისა, რომელიც გორის მარშლის თ-დ თუმანიშვილის დიპლომატიურმა განმარტებამაც კი ვერ გააქარწყლა.

მაგრამ თავად-აზნაურობამ, როგორც ყოველთვის, მაშინაც სიტყვები ბევრი დახარჯა, საქმით კი ვერაფერი გააკეთა. თუ იგი გულ-წრფელად იყო აღშფოთებული ბ-ნ ზაალიშვილის საქციელით, პროტესტი რეალურ ფორმებში უნდა ჩამოესხა და მოესპო სუბსიდია ისეთი სასწავლებლისთვის, სადაც ქართულ ენასა და ქართულ ენის მასწავლებელს აბუჩად იგდებენ.

მაგრამ თავად-აზნაურობა რის თავად აზნაურობა იქნებოდა, ასეთი „რადიკალური“ ზომისა რომ არ შეჰშინებოდა და უკან არ დაეხია იქ, სადაც წინ წასვლა იყო საჭირო. გადასწყდა თუ არა სუბსიდიების საკითხი, ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ ზაალიშვილი ფრთებ-შესხმულად იგრძნობდა თავს და შეუდგებოდა შურის-ძიებას. ვინც ამას მოელოდა, მოტყუებული არ დარჩა. პირველ ნაბიჯს მეორე მოჰყვა, და შურის-ძიების დროც დადგა. როგორც გორიდან გვატყობინებენ, ბ-ნ ზაალიშვილს კატეგორიულად გამოუცხადებია ქართულ ენის მასწავლებლისთვის, მას შემდეგ რაც მოხდა, თქვენი პროგიმნაზიაში დარჩენა აღარ შეიძლებაო. ჩვენს თავს ნებას მივცემთ და გავაცნობთ მკითხველებს ორს წერილს, რომლებიც ბ-ნ ზაალიშვილს კაპანაძესთვის მიუწერია და რომლებიც ამ ჟამად ხელთა გვაქვს.

„მოწყალეო ხელმწიფევ, ილია ალექსის ძე!—სწერს ბ-ნი ზაალიშვილი კაპანაძეს.—რადგანაც თქვენ შეეხეთ ჩემს პატიოსნებას გაზეთის რეპორტიორს სანგანიძესთან და მუშტებიც კი იქნიეთ ჩემსკენ, და რადგანაც სანგანიძემ ის ლანძღვა გამოაქვეყნა, თქვენ ველარ შეუძლიანთ გიმნაზიაში იმსახუროთ. ამიტომ გთხოვთ შემოიტანოთ განცხადება, რომ თქვენ უარს ამბობთ სამსახურზე —ეს საუკეთესო საშუალება იქნება“.

ამ წერილს ხუთს ენკენისთვეს მოჰყვა მეორე წერილი:

„ჩემი გარდაწყვეტილება საბოლოვოა. დღეს უკანასკნელი დღეა. გირჩევთ, თხოვნა შემოიტანოთ. მას შემდეგ, რაც მოხდა, თქვენთვის სამსახური აღარ შეიძლიან. ყველა ამაში თქვენა ხართ დამნაშავე. ამ წერილის ასლს ვინახავ.

**ზაალიშვილი**“.

ბ-ნ ზაალიშვილს რომ თავმოყვარეობა ჰქონოდა, იმ ერთსულოვან პროტესტის შემდეგ, რომელიც თავად-აზნაურთა სხდომების დარბაზში გაისმა, ერთი საათიც არ უნდა დარჩენილიყო გორში. მაგრამ მან ისევ ის ამჯობინა, თავიდან მოეშორებინა ბ-ნი კაპანაძე, რომელიც სრულიად მოულოდნელად წაეჩხირა თვალში და შეუშფოთა კმაყოფილებით სავსე ბიუროკრატიული სულიერი განწყობილება. ბ-ნი კაპანაძე თავისი მდგომარეობით პატარა კაცია და იმისი გასრესა ადვილია, მაგრამ რა პასუხს აძლევს ბ-ნი ზაალიშვილი ქართველ საზოგადოებას და რით აპირებს სამართლიანად აღშფოთებულ საზოგადოებრივ სინიდისის დამშვიდებას? ან იქნება საზოგადოება და მისი სინიდისი იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ქართული ენის ინტერესები და საზოგადოდ ქართული საქმე? ეს უფრო მართალი უნდა იყოს?...

**შინაური.**

## სამძიმრის წერილი

მოწყალეო ხელმწიფევ, ბ. რედაქტორო! გთხოვთ ამ პატარა წერილს ადგილი მისცეთ გაზეთში. ჩვენს გულწრფელს მწუხარებას და ცრემლს ვუერთებთ ძვირფას სამშობლო ქვეყნის გლოვა-ტირილს, ქართველი ერის მოამაგის პედაგოგ-მამულიშვილის **ი. ს. გოგებაშვილის** გარდაცვალებისა გამო და დაუღალავი მუშაკის მეცნიერ-პუბლიცისტის **ალ. სოლ. ხახანაშვილის** უდროოდ დაკარგვისა გამო. ვინატრით, რომ ძვირფას სამშობლოს ერთი ათად აენაზღაუროს ეს დიდი დანაკლისი და დღევანდელი გლოვა-ტირილი შეეცვალოს სანატრელ მომავალი ცხოვრებით.

**თომა კელიშვილი. ალექსი მეტრეველი**

სოფ. ვოლპიშევო ტომსკ. გუბ. ციმბირი.

## ჩვენი საზოგადოების საყურადღებოდ.

ვინც თვალყურს ადევნებს ჩვენი სოფლის ცხოვრებას, შეამჩნევდა, რომ ხალხი ძლიერ გაჰყვა სწავლა-განათლების ტალღას. სოფლის პირველ დაწყებითი სკოლები აღარ იტევს მსურველთ და ყოველ შემოდგომაზე ბევრი გულნატკენი ბავშვი ბრუნდება სახლისკენ. ვისაც შეძლება აქვს, თავიდანვე გვერდს უხვევს სოფლის სკოლას და გულმოდგინეთ მიისწრაფვის საშუალო სასწავლებლისაკენ. ასეთი წყურვილი სწავლა-განათლებისა ძლიერ ბუნებრივია და ამიტომ არცა ღირდა ამაზე ლაპარაკი, რომ მარტო ამისთვის ვსწერდე ამ სტრიქონებს. მე მსურს ამ მოვლენის სულ სხვა მხარეს მივაქციო ჩვენი საზოგადოების ყურადღება.

ამას წინად მოვიდა ჩემთან ერთი ნაცნობი გლეხკაცი და მთხოვა თხოვნა დამეწერა მისთვის ტფილისის წმ. ნინოს „ზავედენიე“-ში გასაგზავნ დ. ცოტა არ იყოს, მეუცხოვა ამგვარი არჩევანი და მწარედ ჩამეცინ.

— „ზავედენია“ ყველაზე მაღლა დგასო, მითხრეს, და მეც იმიტომ იქ ვაპირებ ჩემი ქალის მიცემას; მაგრამ შენი აზრიც მითხარი, შენი ჭირიმე, რომელი სჯობიან, გენაზია, „ზავედენია“ თუ „ეპარხალნი უჩილიშჩა?“ თუ „ზავედენიაში“ არ მიიღებენ, თითო თხოვნას გავგზავნი ყველგან „დვარანცკი“ გიმნაზიაში და „განათლებაშიაც“, თუმცა „განათლებას“ არ აქებენ“-ო.

ჩემი აზრი უთხარი მისგან დასახელებულ სასწავლებელთა შესახებ და, სხვათა შორის, ისიც, რომ სთავადაზნაურო გიმნაზიაში ან „განათლებაში“ შედარებით უფრო ქართულად აგიზრდიან ბავშვსა და შენც გასიამოვნებს და შენს მეზობლებსაც მეთქი: ამაზე უკმაყოფილოდ მიპასუხა:

„—რაში მეჭირვება იმისი ქართული კითხვა-ლაპარაკი, მე ისეთი სკოლა მინდა, რომ მეოთხე კლასიდანაც რომ გამოვიყვანო ჩემი ქალი, ლუკმა პურის შოვნა შესძლოს და ისევ შესანახი არ გამიხდესო“.

ჩვენი ლაპარაკი მაინც იმითი გათავდა, რომ თხოვნა „ზავედენიისთვის“ დამაწერინა.

ეს ჩვენი საუბარი ნიმუშია იმისი, თუ როგორ გაიდგა ფესვი სწავლის სურვილმა და, მეორეც, რანაირი ნივთიერ სარგებლობის სადღი თვალით უცქერის გლეხი სასწავლებელს, იგი სამართლიანად მოითხოვს, რომ შვილის სწავლაზე დახარჯული ფული სათანადოდ აენაზღაუროს ე. ი. სწავლამ ცხოვრების სახსარი უნდა მისცეს. ამიტომ ასეთ სასწავლებელს ეძებს, რომელიც „მაღლა დგას“, [illegible] იქ სწავლება.

მაგრამ, როდესაც დიპლომიანები ჩვენ თვალწინ სამ-სამი წლით ცაიარებიან უადგილოდ და მეოთხე წელიწადს ჰპოვებენ „დასვენებას“ საინტენდანტო ან საქციზო უწყებაში, დამეთანხმებით, რომ სიამოვნების მაგიერ, მწარედ ნაღვლიანდებით, როდესაც წარმოიდგენთ, როგორ სასტიკად მოტყუებული რჩება ზემოხსენებული გამოუცდელი, თუმცა მოანგარიშე მშობელი თავის იმედში მოსწავლე შვილის შესახებ; რომ წინადვე სცოდნოდა, რო უთავბოლოდ უსაქმოდ ხეტიალი დასჭირდება მის „კურსოვნიკ“ შვილს, იქნებ სულაც არ მოეშორებინა იგი გვერდიდან, რადგან სახლში რომ დაეტოვებინა, ოჯახს მუშა ხელი მაინც აღარ დააკლდებოდა; ნასწავლი კი, იმდენად გადასხვაფერებული და ფიზიკურ მუშაობას გადაჩვეული ბრუნდება სახლში, რომ ზედმეტ მჭამელ პირად ღა ხდება.

მართლაც, არსებული საშუალო სასწავლებელი არავითარ იარაღს არ აძლევს ადამიანს უდიპლომოდ, რომლის **კურსი, ჩვენი ხალხის ხელში, ხელოვნურად,** ძლიერ არის დამცირებული ადგილობრივ **ბაზარზე.**

ჩვენ თვალწინ ხდება, ხელოვნურად შექმნილი, ინტელიგენციის უსაქმურობა და ამ გვარად იკარგება ამაოდ შვილის აღზრდაზე ჩაყრილი ფული და ენერგია ჯერ მშობლისა და შემდეგ თვითონ მოზარდი თაობისა. ეს უარყოფითი, და ჩვენი სოციალური ცხოვრებისთვის დამღუპველი მოვლენა არის შედეგი იმისი, რომ ჩვენ ინერციით მივსდევთ ერთხელ დაწყებულ მიმდინარეობას თვალებ დახუჭული და კი არ ვამჩნევთ თუ რა უფსკრულისაკენ მიგვაქანებს ამ მსვლელობის გამომწვევი ძალა.

ვიდრე ესეთი თავდაუჭერელი გატაცება კლასიკურ გიმნაზიებით და უნივერსიტეტებით ემჩნეოდა ჩვენი ერის ცოტად-თუ ბევრად შეძლებულ ნაწილს სამწუხაროდ იყო იგი თავისე დამღუპველი აღნიშნული შედეგით. წუგეშად გვრჩებოდა მხოლოდ მესამე წოდება, ბურჯი ჩვენი ერისა, რომელსაც უნდა მოსწრებოდა პრაქტიკული ტიპის სკოლები, რომელნიც უზრუნველ ჰყოფდნენ მომავალში მის მოზარდ თაობას; მაგრამ აქაც მოგვისწრო ცხოვრების მკაცრმა სისწრაფემ მოულოდნელებს; და, აი, ლამის სოფლის ფართო მასსაც ჩაითრიოს დამღუპველმა

## ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოება *

(დასასრული *)

პასტორ ბიონის უდიდესი იდეა ხარკოვში პირველად 1897 წ. იქმნა განხორციელებული: დაარსებულ იქმნა ახალშენი სავაჟო გიმნაზიის სუსტ მოწაფეთათვის; სულ სამი ახალშენი იქმნა დაარსებული, ერთი მათგანი ქალიშვილთათვის. საზაფხულო ახალშენთა გამგეობას განსაკუთრებითი კომიტეტი ეწევა. ახალშენებში ნამდვილი ჰიგიენური საშუალებებით და შესაფერი საჭმელებით მოსწავლენი ბევრს იმატებენ წონაში, მაგალითად 1903 წელს ქალიშვილებმა შეიმატეს საშუალოდ 2, 3 კილოგრამი, ხოლო ვაჟებმა 1, 8. მოსწავლენი უმეტეს ნაწილად ფეხშიშველნი დადიან და ხანგრძლივადაც მუშაობენ. 1910 წ. კომიტეტს ახალშენში წაუყვანია პირველად 51 მოსწავლე, მეორედ 33; კომიტეტს დახარჯვია ამ წელს სულ 1688 მ. და 34 კაპ. 1)

31 მარტს 1891 წელს ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა საერთო კრებისათვის რუსოვის ქალს მოხსენება წარუდგენია, რომელშიაც სახალხო წიგნების გამომცემლობის საკითხს ეხებოდა. მოხსენება ერთხმად იქმნა მოწონებული და იქვე აირჩიეს **საგამომცემლო კომიტეტი,** რომელმაც დაადგინა გამოსცეს წიგნაკები: სასულიერო-ზნეობრივი ბელეტრისტული, ისტორიული, გეოგრაფიული და საბუნებისმეტყველო შინაარსისა, აგრეთვე სხვა და სხვა საჭირო ცნობებით შემკული. მრავალმა მწერალმა განუცხადა თანხმობა კომიტეტს თვისი ნაწარმოების გამოცემის შესახებ.

კომიტეტი მეტად მუყაითად შეუდგა საქმეს, მაგრამ თანხა არ ჰქონდა. ბოლოს შეუთანხმდნენ ემილ ლიპგარდტის ფირმას იმ პირობით, რომ თავისუფალ ფურცლებზე ამ ფირმის განცხადებანი ყოფილიყო მოთავსებული და ნახევარი ნაწილი გამოცემისა ფირმის ხელში გადასულიყო გლეხებში უფასოდ დასარიგებლად. ხოლო გამოცემის ხარჯი სავსებით უნდა ეკისრა ამ ფირმას. 1893 წელს უკვე სამი გამოცემა აქვს კომიტეტს შემდეგ წლებში გამოცემის საქმე თან და თან წინ მიდის. კომიტეტის; ქონებაც იზრდება: საგუბერნიო ერობა ჯერ 800 მანეთს და შემდეგ კი 1000 მანეთს ყოველ წლიურ დახმარებას უნიშნავს. დღიდან დაარსებისა კომიტეტს გამოცემის სულ 216 ნომერი ჰქონია, რომელთაგან ზოგიერთი 2—3-ჯერ გამოუციათ, ზოგიერთი—5-ჯერაც. გამოცემისათვის იმუშავებენ განსაკუთრებით პროგრამას, რუსეთის ისტორიიდან პროფ. ბაგალეი იმუშავებს 36 თემას, საერთაშორისო ისტორიიდან პროფ. ბუზესკული—34, და ეთნოგრაფიიდან პროფესორი სუმცოვი—20, მაგრამ ბოლო ხანებში კომიტეტის საქმე თან და თან უკან წავიდა; ერობამ დახმარება მოუსპო; ბევრი ძველი წევრი ჩამოშორდა, ხოლო ახლებმა ისეთი მუყაითობით და გულმოდგინეობით ვერ მოჰკიდეს საქმეს ხელი, როგორც ძველებმა და გამოცემის საქმე ძლიერ შეფერხდა. სულ საგამომცემლო კომიტეტს 2½ მილიონი წიგნაკი გამოუცია. მისი გამოცემანი ბევრს გამოფენაზე ყოფილა მოთავსებული და მრავალჯერ მიუღია საპატიო დიპლომი და ოქროს მენდლები.

სამაგიეროდ ძალზე ვითარდება გამომცემლობა ეგრედ-წოდებულ „სახალხო ენციკლოპედიის“ კომისიისა, რომელიც დაარსებულია პროფსორ დანილევსკის თაოსნობით ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოებასთან.

გეგმა ამ გამომცემლობისა შემდეგია:

I ლ განყოფილებაში მოთავსებული იქმნება საბუნებისმეტყველო ცნობები;.

II განყოფილებაში ფიზიკო-მათემატიკური.

III განყოფილებაში ტეხნიკური.

IV განყოფილებაში სოფლის მეურნეობა.

V განყოფილებაში მედიცინა.

VI განყოფილებაში ანტროპოლოგო-გეოგრაფიული.

VII განყოფილებაში ენათა მეცნიერება.

VIII განყოფილებაში ისტორიული.

IX განყოფილებაში ფილოსოფიური.

X განყოფილებაში საზოგადოებრივ-იურიდიულნი.

XIII და XIV განყ. სამრეწველო და სავაჭრო, სადაც სხვათა შორის გარკვეულ იქმნება მუშათა საკითხი. თვითეულ განყოფილებას თვისი რედაქტორი ჰყავს.

კომიტეტი ავალებს იმ წერილების ავტორს, რომელნიც მას გამოუგზავნიან თავიანთ ნაწარმოებს დასაბეჭდად, ეცადონ, რომ როგორც ენა ისე შინაარსი მათი თხზულებათა მისაწვდომი იქმნას იმ პირთათვის, რომელთაც მთლად პირველ-დაწყებითი სწავლა მიუღიათ და სურვილი აქვთ თვისი ცოდნის გაფართოვებისა. თვისი გამოცემის უფლება კომისიამ სიტინის გამომცემლობის ამხანაგობას გადასცა მოსკოვში; ყდა გამოცემებისა განსაკუთრებით იქმნება დასურათებული. მეორე გამოცემის ყდაზე სხვათა შორის მოთავსებული იქნება ტოტებ გაშლილი მუხა, როგორც ემბლემა საზოგადოებისა. შვიდი გამოცემა, თუ ვგონებ მეტი, უკვე გამოვიდა, დანარჩენიც თან და თან იქმნებიან გამოცემულნი. „სახალხო ენციკლოპედიის“ კომისიის მოღვაწეობა დაუფასებელია: მას თვისი გამოცემებით საჭირო ცოდნა შეაქვს რუსეთის გლეხობაში და მით გარემოცულ სიბნელეს ბრძოლას უცხადებს 2). 1910 წელს გამოსულა: ორი ტომი საბუნებისმეტყველო განყოფილებისა, ერთი—სასოფლო მეურნეობისა, ორი—მედიცინისა, ერთი—„სახალხო განათლება რუსეთში“ და ერთიც ანტროპოლოგო-გეოგრაფიული შინაარსისა. „სახალხო ენციკლოპედიის“ გამოცემანი, როგორც სჩანს, მრავლად ვრცელდება ხალხში და ამ მხრივ დიდ სამსახურს გაუწევს ყველა მათ, ვინც პირველ დაწყებითი სწავლის შემდეგ თვისი ცოდნის გაფართოვებას მოისურვებს.

ყოველი წევრი ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოებისა სცდილობს ახალი რამ შეიტანოს მის ცხოვრებაში: თუ ერთი საგამომცემლო კომიტეტის შედგენის საკითხს ეხება, მეორე სახალხო კითხვათა კომისიის დაარსების საკითხის აღძვრას სცდილობს. მართლაც 1882 წელს საზოგადოების კრებამ აირჩია სახალხო კითხვათა კომისია, რომელსაც დაავალა სახალხო კითხვების სისტემატიური მოწყობა. კომისია გულ-მოდგინედ შეუდგა თავის საქმეს და ყოველ-წლივ აუდიტორიისა და მსმენელთა რიცხვი თან-და-თან მატულობს. ამაში უფრო მოტანილი ადნუსხვა დაგვარწმუნებს.

| წლები | | 1903 | 1904 | 1905 | 1906 | 1907 | 1908 | 1910 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ხარკოვში | რიცხვი აუდიტორ. | 7 | 7 | 7 | 5 | 5 | 5 | 6 |
| | რიცხვი კითხვ. წლიურ. | 115 | 142 | 151 | 101 | 131 | 115 | 139 |
| | რიცხვი მსმენელთა წლ. | 20288 | 26762 | 23749 | 15603 | 18094 | 21534 | 28110 |
| | საშუალოდ ერთ კითხ. | 128 | 202 | 159 | 150 | 138 | 137 | 200 |
| [illegible] | რიცხვი აუდიტორ. | 32 | 34 | 32 | 31 | 27 | 26 | 79 |
| | რიც. კითხვათა წლ. | 538 | 589 | 490 | 410 | 579 | 363 | 1252 |
| | რიცხ. მსმენ. წლ. | 105318 | 131812 | 102999 | 77459 | 88754 | 61311 | 184063 |
| ხარჯი | | 3684 მ. | 2380 მ. | 1880 მ. | 2674 მ. | 2676 მ. | 2620 მ. | 2178 მ. 36 კ. |
| უყიდნიათ სურათები | | 956 მ. | 780 მ. | 491 მ. | 581 მ. | 781 მ. | 533 მ. | — |
| გაუყიდიათ „ფონარები“. | | 245 მ. | 234 მ. | 95 მ. | 452 მ. | 617 მ. | 47 მ. | — |

კომისიას აქვს სულ 7794 სურათი ბუნდოვან სურათების მოსაწყობ დ 3).

**სახალხო სახლი.**

საზოგადოების სიამაყეს შეადგენს სახალხო სახლი, რომლის აშენების აზრი ეკუთვნის სახალხო კითხვათა კომისიის თავმჯდომარეს—რაევსკის, რომელმაც 1887 წლის კრებაზე მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა სახალხო სახლის აშენების აუცილებლობის შესახებ. რაევსკის აზრს ყველა თანაგრძნობით მოეკიდა, აირჩიეს კომისია, რომელიც მეტად ბეჯითად შეუდგა საქმეს; ქალაქმა 1200 კვად. საჟ. მიწა დაუთმო შენობისათვის. მთავრობამ 82000 მანეთი დახმარება აღმოუჩინა, ამასთანავე სხვა და სხვა პირთ შემოსწირეს თვალსაჩინო თანხა და მართლაც ძვირფასი შენობა ააგეს, რომელიც 2 თებერვალს 1903 წელს დიდის ამბით აკურთხეს. სახალხო სახლის აუდიტორია იტევს 1000 კაცზე მეტს, წიგნთ-საცავ სამკითხველო—150, დარბაზი ხოროსათვის—120 და ჩაის ოთახი—200.

სახალხო სახლს განსაკუთრებითი კომიტეტი განაგებს, ამ კომიტეტის გამგეობაშია ქრა-კერვის კურსები, რომელზედაც 1910 წელს სულ 120 მოსწავლე ქალი ყოფილა.

1900—1906 წლამდის, ე. ი. ექვსი წლის განმავლობაში სახალხო სახლის კომიტეტს 381 წარმოდგენა გაუმართავს, 12 კონცერტი, 103 სახალხო კითხვა, 11 ლექცია და 4 საოპერო წარმოდგენა. 1910 წელს კომიტეტს დაუარსებია პუშკინის სახელობის სამკითხველო; წარმოდგენა გაუმართავს რუსულსა და უკრაინულს ენაზე 64, რომელსაც დასწრებია ფასით 44902 კაცი და უფასოდ 3206, 7 საოპერო წარმოდგენა, რომელიც მოუსმენია ფასით 5217, ხოლო უფასოდ 450; გარდა ამისა სახალხო სახლში გამართული ყოფილა ამ წელს 26 სახალხო კითხვა და ორი უფასო ლექცია; აგრეთვე მოუწყვიათ ბავშვთათვის ორი შობის ხე, რომელსაც მრავალი მოსწავლე დასწრებია. საერთოდ სახალხო სახლის აშენებით ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ დიდი ამაგი დასდო ქალაქ ხარკოვის მშრომელ ხალხს, რომელსაც შეძლება ეძლევა კვირა-უქმე დღეებში მაინც დაესწროს წარმოდგენას, თუ ლექციას ან უფასოდ და ან სულ მცირე ფასით 3) სახალხო

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 692.

1) უმეტესად კომიტეტს თვის ახალშენებში საზოგადოების სკოლების მოსწავლენი მიჰყავს და მაშასადამე ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოებას ერთი მხრივ ცოდნა შეაქვს ხალხში, მეორე მხრივ კი მათ ჯანმრთელობაზედაც ზრუნავს.

2) საერთოდ ვისაც კი ველაპარაკე ამ გამოცემის შესახებ, ყველა დიდ მნიშვნელობას აძლევს მას ხალხში განათლებ-ს შეტანის მხრივ.

3) 1911 წელს 9 ნოემბერს კომისიის არსებობის 25 წელი შესრულდა, რაც დიდის ამბით იდღესასწაულეს. როგორც გადმომცეს 1911 წ. კომისიას 141 სახალხო კითხვა გაუმართავს ხარკოვში, რომელსაც 30000 მსმენელი დასწრებია, ხოლო ხარკოვს გარედ 300 კითხვა, დასწრები 221,214 მსმენელი.

3) 1910 წელს ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოებას გლეხების 50 წლის განთავისუფლების ღავის აღსანიშნავად შუამდგომლობა აღუძრავს ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა „ხოლოდნაია“ და „ლისაია“ გორებზე სახალხო სახლები იქმნეს აშენებული. გამგეობას შუამდგომლობა მოუწონებია.

ტალღამ ანგარიშ-მიუცემელ გატაცებისამ და უგუნურ წამბაძველობისამ. რასაკვირველია, ვისაც შეძლება აქვს, გლეხია იგი თუ თავადი და არაფრად მიაჩნია შვილის ამგვარ აღზრდაზე ფული ცალკე დააბანდოს და შვილიც მოაცდინოს, როგორც ჩვენი ერის საკეთილდღეოდ რაიმე ღირებულების შემძლე-შემქნელი, დეე იმან იაროს ძველ გზაზე ამ შემთხვევაში გვაწუხებს ბედ-ილბალი სოფლელ მშობელთა, რომელნიც წელებზე ფეხს იდგავენ და შვილს რის ვაი-ვაგლახით ნახევრად მშიერმწყურვალს ზრდიან სკოლაში და ხშირად მეოთხე კლასამდის ძლივს აღწევინებენ. ჩვენი ერის მსვლელობა პროგრესისკენ ჩვეულებრივ კალაპოტში რომ იდგეს და გარეშე დაუძლეველნი დაბრკოლებანი არ აგუბებდნენ და არ ამახინჯებდნენ მის წინ სვლას, მაშინ იმდენად საჭირ-ბოროტო არ იქნებოდა ზემოხსენებული მოვლენა. და არც მოხდებოდა ინტელიგენციის ის უსაქმურობა, რომელიც ასე აფერხებს ეროვნულ განვითარებას.

განა მართლა ზედ-მეტია ჩვენში ნასწავლი ხალხი, რომ მისი მუშაობა მოექარბოს ჩვენს ყოვლად გაწყალებულ ვითარებას? რასაკვირველია არა. ჩვენში რომ ერობა მაინც იყოს ან ახლო მომავალში გვქონდეს მისი იმედი, კიდევ ვინუგეშებდით თავს იმითი, რომ ხალხში თვითმოქმედების ალღო და უნარი გაიღვიძებს და როგორც იქნება გამოსასვლელ გზას გამონახავს ხალხი, ამ ჟამად გაუვალ მდგომარეობიდან. მაგრამ როდესაც ვრწმუნდებით, რომ ერობის საკითხი არამც თუ ახლოვდება, არამედ თან და თან გვშორდება და სულ შორეულ მომავლისკენ **აგდებენ** ჩვენგან, ნუ თუ არ გვინდა ან გარიში გაუწიოთ ამ გვარ სახიფათო მდგომარეობას? ვისაც კიდევ შერჩენია უნარი სამშობლო ერის განსაცდელ მდგომარეობის **შეგნებისა**, ვისაც შესტკივა გული მისი მომავალი ბედისთვის და ალთქმულიც აქვს, ერის წინაშე შესაფერი სიტყვა, **სიტყვა**, იგი გაბედულად და იმედიანად იტყვის: დროა! ყოველი არსება, გინდ ადამიანი ძალისაგან თუ თვალ-უხილავი ცხოველი, ბრძოლაში დამარცხებული და შებოჭილი, როდესაც გრძნობს სიკვდილის მოახლოვებას, იკრეფს თავის უკანასკნელ ძალას, შეინძრევა, დაიხლაკნება... და ხშირად ისეთის ძლიერებით, რომ, თავს იხწევს განსაცდელისაგან. ერთგულ განსაცდელს ჩვეულებრივ თვითონ ხალხი, ერი უწევს ხოლმე ანგარიშს, მაგრამ ჩვენ აქაც არა ჩვეულებრივ მდგომარეობაში ვართ. ეროვნული თვით შეგნება ჩვენს ხალხში ჩვენდა სავალალოდ ჩამქრალია. აღარა გვყავან „გულასავით“ ლომგული ხალხის შვილნი, მათ ნაცვლად უმეტყველო და დაბეჩავებული ხალხი მოსჩანს. ამ შემთხვევაში საერ. საქმე უნდა გასწიოს ჩვენმა ნასწავლმა, რომელსაც წილად ჰხდომია ჩვენი ერის ბედილბლის საქმე, მას აქვს ჩაბარებული ეროვნული მსვლელობის საქე, დავა მას, თუ პირნათლად ვერ შეასრულებს თავის წმინდა მოვალეობას ერის წინაშე...

დღევანდლამდი ჩვენი ინტელიგენციის სამსახური ამ საქმეში იმაში იხატება, რომ ყოველს წლივ, და ისიც თავად-აზნაურთა კრებებზე, იგი გაილაშქრებს პროგიმნაზიებისა და გიმნაზიების სუბსიდიის წინაამდეგ და უკეთეს შემთხვევაში პრესაშიაც გაიჭაჭანებს ხმა ამ საჭირბოროტო საკითხის გამო; ასე ხდება ყოველ წელს... ცხოვრება კი მიექანება წინ და გვიკაკუნებს თავში.. ხსნა მხოლოდ მოქმედებაშია და აქედანაც უნდა დავიწყოთ საქმე, უნდა შეკავშირდნენ ამ საქმისათვის ის ჩვენი საზოგადოებანი, რომელნიც სწავლა განათლებასთან არიან დაკავშირებულნი თავიანთი—დანიშნულებით. ქ. შ. წ. კ. გ. და ქართული სამეურნეო, საზოგადოებანი; უნდა დაარსდეს ქართული პედაგოგიური საზოგადოება ახლად განსვენებული და ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის ი. გოგებაშვილის სახელობისა. მან უნდა იკისროს კერძო სამასწავლებლო ინსტიტუტის დაარსება, რომელიც მოგვიმზადებს სახალხო სკოლების ხეირიან მასწავლებლებს. წ. კ. საზოგადოებამ სამეურნეო საზოგადოების დახმარებით უნდა შეიმუშაოს ტიპი იმისთანა **კერძო** სკოლისა, რომელიც გამოსადეგი და შესაფერისი იქნება იმ მოთხოვნათათვის, რომელნიც ესე ულმობელად დაგვიყენა წინ ცხოვრებამ. ქალების განყოფილება სათავად-აზნაურო გიმნაზიისა ისე უნდა მოეწყოს, რომ მთლიანი იარაღი მისცეს ჩვენს ქალებს ცხოვრებისთვის, თუ გინდ **უფლებანიც** აკლდეს. უსახსრობა ნუ გვაქვს ხოლმე მიზეზად ჩვენი უმოქმედობისა. სოფლის ცხოვრებამ უკვე დაგვიმტკიცა, რომ თუ ხალხმა ნახა სარგებლობა რაიმე დაწყებულებაში, არაფერს არ დაიშურებს და ყოველივე ხარჯს იკისრებს. მაგალითი ერთი და ორი არა გვაქვს. სიღნაღის მაზრაში სამი კერძო სამკურნალოა, როცა თაც სოფელი ინახავს. სოფელმა ველისციხემ ხეირიან და **სალ** წყლის გამოსაყვანად ცამეტი ათასი მანეთი გამოიღო და დახარჯა კიდეც. ერთი სიტყვით ხალხში შეიძლება **თვით-მოქმედების** უნარი გამოვიწვიოთ, თუ პაგალითს ვაჩვენებთ. ეს კი მხოლოდ ინტელიგენციამ უნდა შეჰქმნას. თორემ თუ ერობის შემოღებას ვუცადეთ, „პავლეს ტყავიც გაძვრება“ და მეტიც მოუვა. მაშ მოვინდომოთ, და ვიმოქმედოთ. **დ. ჯავახიშვილი.**

## წერილი თელავიდან

დიდებულ მამულიშვილის ილიას ტრაგიკულ გარდაცვალების მეხუთე წლის თავზე 30 აგვისტოს აქაურ საკრებულო ტაძარში წ. კ. საზ. თელავის განყოფილების თაოსნობით გარდახდილ იქმნა პანაშვიდი პოეტის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი ბრწყინვალედ იქნა შესრულებული თელავის და მის მახლობელ სოფლების სამღვდელოების მიერ დეკანოზ შიუკაშვილის მეთაურობით, რომლის დროს მშვენიერი ხმის შეწყობით გალობდა თვით სამღვდელო პირთაგანვე შემდგარი გუნდი მღვ. ირ. შავლიაშვილის ლოტბარობით. გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა ნ. ვ. მთვარელიშვილმა, პანაშვიდს ხალხი ბევრი დაესწრო, სხვათა შორის მოსწავლეთა ახალგაზრდობა მასწავლებითურთ.

მიატანა შემოდგომამ, დადგა სწავლის დრო და მშობლებსაც დაეწყოთ ტანჯვა-ვაება. ეს სიტყვა რომ ვიხმარე გადაჭარბებული არავის ეგონოს: ჩვენში სასწავლებელთა რიცხვი ძლიერ მცირეა და სხვა ჩვენისთანა ქალაქებშიაც ასევე იქნება. ზოგის ბავშვი რჩება იმავ კლასში, ზოგისას არ იღებენ, ზოგისას ითხოვენ და თავებს იწყევლის, ზოგი შვილების გულისთვის იძულებულია შორი სოფლიდან თელავში გადმოსახლდეს, აქედამ ტფილისს იხიზნებიან და არის ერთი ამბავი. როგორც გადმოგვცეს წელს ყველა სასწავლებლებში ახლად შემსვლელი მსურველთა რიცხვი ისეთი დიდია, როგორც არც ერთ წელს და ადგილობის გამო ბევრსაც ეუბნებიან უარს. სხვათა შორის წ. კ. გამ. საზ. თელავის განყ. სკოლასაც იმდენი მთხოვნელი მიაწყდა, რომ გამგეობა იძულებულია მეორე მასწავლებელი მოიწვიოს, თუმცა მიმდინარე სამოსწავლო წელს განძრახვა ჰქონდა პირველ და მეორე განყოფილებაში იმდენი ბავშვი მიეღო, რამდენსაც ერთი მასწავლებელი გასწვდებოდა, ვინაიდან მეორე მასწავლებლის მოწვევა საგრძნობელი იქნება განყოფილებისათვის უსახსრობის გამო, ამ სკოლაშიაც სწავლა 1 ენკენისთვეს დაიწყო, რომლის წინ პარაკლისი გადაიხადა და სიტყვა წარმოსთქვა დეკ. შიუკაშვილმა, დაესწრნენ გამგეობის წევრები და მოსწავლეთა მშობლები.

წ. კ. წიგნის მაღაზიამ წელს ბლომად მოამზადა მოსწავლეთათვის სასწავლო წიგნები და საერთოდ საკანცელარიო ნივთები. სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ ამ მაღაზიამ სულ მოკლე ხანში მეტი სიმპატია დაიმსახურა და თვით საზოგადოება, განსაკუთრებით მოსწავლე ახალგაზრდობა, და სოფლის მასწავლებელნი ყოველთვის ამ მაღაზიას მიჰმართავენ ხოლმე, ვინაიდან კარგად იციან, რომ მისი წმინდა შემოსავალი,—როცა მოღონივრდება იგი,—უნდა მოჰხმარდეს წ. კ. საზოგადოების თითქმის უფასო სკოლას, რომელსაც ბედმა არგუნა მხოლოდ ღარიბთა შვილების შემოკრება თავის კალთის ქვეშ.

აგვისტოს ნახევრიდან თელავიდან წასვლა იწყეს მოსწავლეთ და მოაგარაკეთ, რომელნიც წელს მეტად მრავლად გვეწვივნენ. საერთოდ ყოველ წლივ ამათი რიცხვი თვალსაჩინოთ მატულობს და კიდევ მეტი იქნებოდა რომ თელავ-ტფილისის შორის მიმოსვლის სიძვირე—მოუწყობლობა და შარბათოვის დილიჟანსებზე ვაი-ვაგლახით მგზავრობა არ უშლიდეს ხელს. კახეთის რკინის გზის გაყვანის შემდეგ ხომ თელავი თავისი სალი ჰაერით და ცივი წყლებით ერთ საუკეთესო საგარაკო ადგილად გარდაიქცევა.

ხანგრძლივ გვალვისაგან მთელი ქალაქის ქუჩები მტვრითაა სავსე, ფეხის დაკარებაზე კორიანტელი ავარდება, ჰაერიც მტვრითაა გაჟღენთილი და სუნთქვას აძნელებს. არც ქალაქის ბაღს აკლია მტვერბუქი, მაგრამ მოსეირნენი მაინც არ აკლიან... **დაიწყებული.**

## წვრილი ამბები

**ფშავ-ხევსურეთი.** როგორც ვიცით ოცდა ხუთი წლის წინედ ბ. ნიკო ნიკოლაძეს წინადადება მიუცა აწ განსვენებულ ინჟინერ ზ—კისთვის, რომელმაც სურამის გვირაბი გაიყვანა, მოხსენება წარედგინა სამინისტროში რათა რუსეთსა და კავკასიის შორის მიმოსვლა შემოკლებული რკინ. გზით ყოფილიყო—გამოკვლევა მოეხდინათ ორ მხარეზე პირველი ვლადიკავკაზი—არხოტის უღელ-ტეხილი, თბილისი 160 ვერსი და მეორე ქუთაისი—სვანეთის მთით. სამინისტრომ მალვე ზ—კს მიანდო გამოერკვია რკინის გზისთვის ადგილი არხოტის უღელ-ტეხილით. ოცდა-ერთი წლის წინად. მოხდა გზის პირველი გამორკვევა არხოტის (ხევსურეთშია) უღელტეხილით. უღელტეხილის გზა მოსკოვამდისინ ამოკლებს ვიდრე ბაქოდგან 1085 ვერსით. ამ გზას აძლევენ დიდ სამხედრო მნიშვნელობას ომის დროს. გავიდა დრო და ხანი. გასულ—წელს ამ გზის დასათვალიერებლად სამინისტროდან მოვიდნენ ინჟინრები, პროფესორები და თვით ვურცელიც. იყვნენ სამხედრო ტოფოგრაფები საპიორები ოფიცრის ბ. ჯავახიშვილის მეთაურობით, რომლებიც აკეთებდნენ გასავლელ გზა—ტკეცილს.

წელს როგორც მკითხველს მოეხსენება უმაღლესად დამტკიცდა საბოლოოდ ე. ი. უკანასკნელად გამოარკვიონ საუღელტეხილო გზის მდგომარეობა.

მკათათვის პირველ რიცხვებში პეტერბურგიდან მოვიდნენ ინჟინრები ბ. კომბიადჟიოს მეთაურობით, რომლებიც დანაწილდნენ ოთხ ჯგუფად. ორი ჯგუფი მუშაობს სადგურ ავჭალიდან ბარის-ახომდე, ორიც კაკკავიდან უღელ-ტეხილამდე. თვითონ არხოტის მთაზე მუშაობენ სამხედრო ტოპოგრაფები პოდპოლკოვნიკი პავლოვი და კაპიტანი რუსიშვილი, რომელიც ცხენმა გადმოაგდო და ფეხი დაუშავა. საექიმოს დახმარების აღმოსაჩენად გაგზავნეს ტფილისში.

საუღელტეხილო გზის ახლო სოფელ ჩარგალში სადაც სცხოვრობს მგოსანი ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი) გადმოსჩქეფს მჟავე-წყალი. ღირსებით ეს წყალი შეედრება უწერის (რაჭაშია) მადნეულიან წყალს. კუჭის ტკივილისათვის უებარი წამალია. ამიტომაც ზაფხულობით მჟავე წყალზე იკრიბება ბევრი ავადმყოფი სხვა და სხვა სენით და ბევრი მათგანი განკურნებული ბრუნდებიან.

როგორც ვიცით მჟავე-წყლის ადგილები ეკუთვნოდა მგოსნის მამაპაპას. რამდენიმე წელი იქნება ამ წყალმა მიიქცია ვაჟა-ფშაველას ყურადღება, ააშენა ავადმყოფთათვის ბინები, თავ-შესაფარი მცირე ფას დადებით. მას გამოუდავა თიონეთის ტყის გამგე. ეს ადგილი სახაზინოდ გამაცხადა. აღიძრა საჩივარი ორივე მხრით სადაც ჯერ-არს. ადგილობრივმა მცხოვრებლებმაც გამოსცქვიტეს ყური და აზბროქდნენ—ისინიც ადგილს თავიანთ საკუთრებადა სთვლიან. რამოდენიმე ადგილობრივი მცხოვრებნი ღამით ძივიდა და ვაჟას აშენებული სადგურები დამალეს, საჩივარი სწარმოებს.

ამ დღეებში ფშავშეთს ესტუმრა ბატონი ნიკო ნიკოლაძე, რომელმაც დაათვალიერა ჩარგლის მჟავე—წყალი და საუკეთესო კურორტადა სცნო.

წელს მოსავალს აქეთ კარგი პირი უჩანს, თუმცა ბოლო ხანს ძლიერი სიცხეები დაიწყო, გადასწვა ბალახები და მცენარეები. **გ. შანიძე.**

**გურია.** ამ ჟამად დასავლეთ საქართველო წარმოუდგენელ სიმშილობას განიცდის. სამი ოთხი თვეა მას შემდეგ, რაც გურია და სამეგრელოს ნაწილი დაიმშა. ამ ჟამად ფუთი სიმინდი მანეთ ნახევრად ფასობს, მაგრამ გასასყიდიც არ იშოვება... ზოგ ადგილას რუსეთიდან შემოტანილი ფქვილიც გამოილია.. ხშირად ხდება, ორი-სამი დღით, დუქანში ფქვილის გამოლევის გამო, ორი-სამი სოფელი რამოდენიმე დღით დამშეული იყო. პური თუნდაც იშოვებოდეს, დიდ უმეტესობას ყიდვა მაინც არ შეუძლიან. ხალხი იკვებება ხილეულით, მხალით, მოხარშულ-შემწვარი სიმინდით, გოგრით (ხაპით) და სხვა. სიმშილობის შედეგმა ავადმყოფობამაც იჩინა თავი. შინაური ფრინველი ზოგი შესჭამეს და ზოგიც ჩალის ფასად გაჰყიდეს... მომავლის იმედი მაინც რომ ჰქონდეთ, კიდევ არა უშავდარა. ჯერ იყო ჭირნახული დაჟინებულმა წვიმებმა შეაწუხა, ეხლა კი მეტის-მეტმა სიცხემ მთლად გადაახმო. ხალხი სდუმს, რადგან დარწმუნებულია მას არავინ საშველად ხელს არ გაუწოდებს. ამის მაგალითს ის ეხლაც განიცდის, როცა დახმარების ნაცვლად ათას ნაირ გადასახადით აწუხებენ. **პეტრე.**

**ხ. მანავი.** (გარე კახეთი). მანავი ტფილისიდან 56 ვერსზეა, ტყე მინდვრითა, ვენახებითა და წყლით შემკობილი. სულ 120 კომლია. ამათში 18 კომლი აზნაურობაა. სამწუხაროდ ამ სოფელს ყურისმგდებელი არავინა ჰყავს. ერთად-ერთი სასმელი წყალი სიბინძურითაა სავსე, შიგა რეცხენ ყველაფერს. საჭიროა ამაზე იზრუნოს ვინმემ.

არც სასოფლო სამაღაზიას შემოსავალ გასავალია გაწესრიგებული.

ჩვენებური მედუქნეები ხომ მეტად უდიერად იქცევიან, მაგალითად გირვანქა შაქარს 20—25 კაპეიკად ჰყიდიან, მარილს ფუთს 80—90 კ. რად უნდა იყიდებოდეს [illegible] შაქარი ასე ძვირად, როდესაც [illegible] ფელ თონეთ[illegible] 17 [illegible] ამასაც ყურადღების მიქცევა უნდა. **მანაველი გლეხი.**

**ერწო-თიანეთის მხარე.** შუა მკათათვის აქეთ, გამუდმებული გოლვაა. მკა გათავდა, გაცხარებული კალოობაა. პურის და ქერის მოსავალი წელს აქეთ, საშუალოა. სიმინდის მოსავლის იმედი, დიდი ჰქონდათ, მაგრამ გოლვამ მოუშა და სიმინდის მოსავალიც საშუალოა.

ბევრი მოლოდინის შემდეგ, როგორც იყო ვეღირსეთ საავადმყოფოს გახსნას, რომელიც გახსნეს ხევსურთ სოფელში. ეს სოფელი ერწოში შუა ალაგია, მაგრამ, ამ სოფელში წყალი არ არის და არც დუქნებია. ეს გარემოება, ძრიელ აღონებთ ექიმ, ფერშალ-ბებიათ, რადგანაც სანოვაგე ძნელათ იშოვება. ხევსურთ სოფელში, თუ გულშემატკივარი ამოუჩნდება, წყალის სიმცირესაც ეშველება; მაგალითებრ: აქ პატარა წყარო გამოდის, ეს წყარო შეიძლება მოგროვდეს, დიდი აუზი გაუკეთდეს და მილი დაეტანოს, მაშინ იმედია რომ წყლით ნაკლულევანება აღარ ექნებათ.

ახალ სოფლის სამრევლოში სისხა გავრცელებული; სისხა შესამჩნევად აზარალებს ხალხს.

აქეთ მხარეს, საქონლის თურქულმა იჩინა თავი, საქონელი და სულ კუტად ყრია. **ქართველი ოსებში ნამყოფი.**

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

6 ენკენისთვე.

### საზღვარ-გარედ

**ჰუნგრეთის პალატა.**

**ბუდაპეშტი.** პალატა. სალამოს ექვს საათს შემდეგ პოლიციის უფროსმა პავლიკმა ორ პოლიციელს გრაფ სომსიის გაყვანა უბრძანა. უკანასკნელს გარს შემოეხვივნენ ამხანაგები. გრაფმა კოროლიმ ორთავე პოლიციელებს ცემა დაუწყო. იმას სხვებმაც მიჰბაძეს და უკან დაახევინეს. პავლიკმა ერთ პოლიციელს დეპუტატის გაყვანა დაავალა. პოლიციელმა უარი უთხრა, რითაც ოპოზიციის წევრები ძლიერ გაახარა და ტაშისცემა გამოიწვია. პოლიციელი დააპატიმრეს.

დეპუტატს იარმის ხუთი პოლიციელი ეწეოდა. იარმიმ დიდი წინააღმდეგობა გაუწია და გული წაუვიდა. პირველ რიგში მდგომარე დეპუტატები პოლიციელებს იგერიებენ. საშინელი და ველური სცენები მოხდება. გრაფი კაროლი გამოუსხლტება პოლიციელებს, სკამებისაკენ გაიქცევა და აქ გული წაუვა. ექიმები აქეთ-იქით დახმარებას უწევენ დეპუტატებსა.

პოლიციელებს, მიუხედავად ენერგიის წინააღმდეგობისა, გრაფი ბათიანი გარედ გაჰყავთ. მიუხედველად ამისა, ოპოზიციის წევრები ისევ ბრუნდებიან და დარბაზი თითქმის სავსეა. პოლიციის უფროსი პავლიკი ოპოზიციის წინადადებას აძლევს, დარბაზი დასტოვეთო. ოპოზიცია უარზეა. პოლიციელებს კიდევ გაჰყავთ რამდენიმე დეპუტატი. კულუარებში გრაფი ანდრაში მოუწოდებს ოპოზიციონერებს, ანახმად უნდა ვიმოქმედოთ, სადმე სასტუმროში მოვილაპარაკოთო.

პოლიციელებს დეპუტატი ბარაბაში გაჰყავთ გარედ. იგი ყვირის: გაუმარჯოს რესპუბლიკასაო.

პოლიციის უფროსი პავლიკი გრტისასთან მიდის მოსალაპარაკებლად. როდესაც პავლიკი უკან დაბრუნდება, გრაფი ოპონი ეუბნება, დეპუტატები ჩვენისავე ნებით წავალთ აქედან, ოღონდ პოლიციელები ნუ იქნებიან დარბაზშიო. პავლიკი შესაფერ განკარგულებას გასცემს. ოპოზიცია, 14 კაცი, მიდის. სალამოს ცხრის ნახევარზე ტისა ხსნის სხდომას და აღნიშნავს, ამისთანა ამბავმა უნდა შეაძრწუნოს ყოველი ჰუნგრელის გულიო და თავს იმართლებს (მოწონება). სამოცამდე დეპუტატი გამორიცხეს სხდომეზე.

ფინანსთა მინისტრმა განმარტება მისცა დეპუტატებს ბიუჯეტის გამო. სხდომა სალამოს ათ საათზე დაიხურა.

პარლამენტში გუშინდლისთანა სცენები ისევ დაიწყო. ასტყდა საშინელი ხმაურობა, რის დროსაც ოპოზიციონერები მინისტრს ლანძღავდნენ. ბეეტი მუშტმოღერებული გაექანა ოპოზიციისაკენ. ასტყდა ხელჩართული ბრძოლა. პალატა ბრძოლის საშინელ ველს წარმოადგენდა, ძლივს მოახერხეს

---

სახლს გარშემო მშვენიერი ბაღი აქვს შემორტყმული.

**საზოგადოების წევრთა რაოდენობა სხვა და სხვა დროს:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| წლები. | 1869 | 1870 | 1871 | 1872 | 1873 | 1874 |
| რიცხვი წევრთა. | 250 | — | 190 | 192 | 148 | — |
| წლები. | 1877 | 1878 | 1879/80 | 1886 | 1888/89 | 1890 |
| რიცხვი წევრთა. | 74 | 60 | — | 72 | — | 136 |
| წლები. | 1791 | 1892 | 1893 | 1894 | 1895 | 1896 |
| რიცხვი წევრთა. | 145 | 280 | 328 | 440 | 486 | 645 |
| წლები. | 1897 | 1898 | 1889 | 1900 | 1901 | 1902 |
| რიცხვი წევრთა. | 674 | 754 | 732 | 753 | 699 | 654 |
| წლები. | 1903 | 1904 | 1905 | 1906 | 1907 | 1908 |
| რიცხვი წევრთა. | 699 | 613 | 961 | 651 | 424 | 574. |

ყველაზე მეტი წევრი საზოგადოებას 1905 წელს ჰყოლია. 1910 წელს საზოგადოებას სამუდამო წევრი 146 ჰყოლია, საპატიო—15, ხოლო წლიური—425.

**განყოფილებანი საზოგადოებისა:**

ქ. ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოებას სულ ექვსი განყოფილება ჰქონია: **სუმის,** 1880 წელს დაარსებული, **სლავიანსკის,** 1882 წელს **დაარსებული, ბოგოდუხოვკის**—1892 წელს დაფუძნებული, **ვოლოჩანსკის** 1893 წელს შექმნილი, **სტაროველსკის**—1896 წ. დამტკიცებული და **კოჩეტკის**—1907 წ. დაარსებული, ყველა ამ განყოფილებათ ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის ხელმძღვანელობით დაუარსებიათ მრავალი სკოლა, წიგნთ-საცავ-სამკითხველო, შეუქმნიათ აუდიტორიები სახალხო კითხვებისათვის და სხვა [1]). უმთავრესი გამგეობა ყველგან და ყოველთვის შესაფერ დახმარებას უწევდა თავის განყოფილებებს, მაგრამ 1910 წელს ადმინისტრაციამ გლახა თვალით შეხედა საზოგადოების მოღვაწეობას, რასაც თან მოჰყვა წესდების შეცვლა და განყოფილების ჩამოშორება, რადგან ახალის წესდებით საზოგადოების მოქმედება მხოლოდ ქალაქ ხარკოვით შემოიფარგლა.

1909 წელს ნოემბერში ადმინისტრაციის განკარგულებით გაჩხრიკეს გამგეობის სადგომი და მრავალი წერილებიდან ასლი გადაიღეს. 1910 წელს იანვრის 11 თავმჯდომარის ამხანაგი კნიუპფერის ქალი ჟანდარმთა მართველმა მიიწვია და ჩვენება ჩამოართვა სასოფლო სამკითხველოთა კომიტეტის კატალოგის მეცხრე გამოცემის შესახებ. შემდეგ მაშინვე მოსთხოვა გამგეობას 1907 წლის საწარმოვო წიგნებისა და გამგეობის სასკოლო სამკითხველოების კომიტეტებთან მთელი მიწერ-მოწერის წარდგენა. 16 იანვარს იმავ წელს კვლავ გაჩხრიკეს გამგეობის სადგომი და წაიღეს 1905, 1906 და 1907 წლების სხდომების ოქმები და სხვა და სხვა მიწერ-მოწერა, რომელნიც მხოლოდ ენკენისთვეში დაუბრუნეს გამგეობას.

13 მაისს გამგეობის თავმჯდომარემ გუბერნატორისაგან წერილი მიიღო, რომლითაც იგი მოითხოვდა 1869 წლის წესდების შეცვლას, უკანასკნელ შემთხვევაში საზოგადოების აკრძალვით იმუქრებოდა.

[1]) ხარკოვის საზოგადოებას აქვს აგრეთვე საკვირაო სკოლები; სავაჟო და საქალო.

საზოგადოების საერთო კრებამ მართლაც შეიმუშავა ახალი წესდება, რომლითაც დაწესებულ იქნა ადმინისტრაციის კონტროლი: გამგეობა ვალდებულია ყოველ წლივ თავისი მოღვაწეობის ანგარიში წარუდგინოს, როგორც ადგილობრივ საგუბერნიო, ისე სამოსწავლო მთავრობას; ამასთანავე წიგნებისა და გამოცემების კატალოგი, აგრეთვე ყოველგვარი დამატებანი კატალოგთა და სია იმ წიგნთა, რომელნიც საზოგადოების წიგნთ საწყობში არიან, უნდა წარედგინოს გუბერნატორს თვალყურის დევნების წესით. გარდა ამისა საწევრო გადასახადი ნაცვლად ექვსი მანეთისა—ერთ მანეთად იქმნა დაწესებული; დაარსებულ იქმნა აგრეთვე სარევიზიო კომისია, რომელიც წელიწადში ორჯელ იხილავს გამგეობის საქმის წარმოებას, საზოგადოების ქონებას, ადგენს ხარჯთ-აღრიცხვას და სხვა.

არამც თუ ადმინისტრაციამ აითვალწუნა ხარკოვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქალაქის საბჭოშიც გამოჩნდნენ ისეთნი პირნი, რომელთაც ცხადად გაილაშქრეს ამ საზოგადოების წინააღმდეგ, მაგალითად ქალაქის ხმოსანმა ბიჩ-ლუბენსკიმ იმ სხდომაზე, როდესაც წყდებოდა საკითხი წერა-კითხვის საზოგადოების ქალაქის სამკითხველოთათვის ხუთას-ხუთას მანეთის ყოველ წლივ დახმარების აღმოჩენისა, განაცხადა, როგორც შევიტყე ეს სამკითხველონი არა-ლეგალურ ნაწარმოებთ ავრცელებენ ხალხში და ამისათვის, როგორც მავნე დაწესებულებანი, ღირსნი არ არიან დახმარებისა, მაგრამ ხმოსნებმა მას ყური არ ათხოვეს და ხსენებული დახმარების მიცემა დაამტკიცეს. მიუხედავად მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზისა, ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოების საქმე არც 1910 წელს შეფერხებულა. ამ წელს საზოგადოებამ მიიღო ოქროს დიდი მედალი ორმოცი წლის განმანათლებელ მოღვაწეობისა, წერა-კითხვის გავრცელებისა, სკოლების, ახალშენების, წიგნთ საცავ-სამკითხველოების დაარსებისა და „სახალხო ენციკლოპედიის“ გამოცემისათვის.

საუბედუროდ დრო ნებას არ მაძლევს უფრო დაწვრილებით შევეხო ამ ფრიად მუყაით და თავის საქმის მეტად მოყვარულ საზოგადოების მოღვაწეობას. დასასრულ ვიტყვი მხოლოდ, რომ ძვირად შემხვედრია ჩემს ცხოვრებაში, ისეთი გულითადი შეხვედრა, როგორც ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში ვიხილე: თვითეული იქ მყოფი სცდილობდა რაიმე ახალი გადმოეცა ჩემთვის ამ საზოგადოების ცხოვრებიდან; რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ საერთოდ გამგეობას და განსაკუთრებით ქ-ნ დორისა ვლადიმერ მედვედევის ასულს. მთელი ჩემის არსებით ვუსურვებ ხარკოვის წერა-კითხვის საზოგადოებას სრულს წარმატებასა და წინსვლას იმ დიდ საქმეში, რომელიც მას ვალად უდევია.

**ალ. წერეთელი.**

მოჩხუბარი გამოსვლება. დარბაზში 100 პოლიციელი შევიდა. ოპოზიცია ირონიულ ლაპარაკით დარბაზსა სტოვებს.

დღეს დეპუტატთა ხელ-უხლებლობის კომისიას გადასცეს 38 დეპუტატის საქმე. გუშინდელ დეპუტატებში ზოგს 30, ზოგს 10 და 15 სხდომიდან განდევნა მიუსაჯეს.

აირჩიეს დელეგაციათა წევრები. გარდა რამდენისამე ხორვატისა, ყველანი საპარლამენტო მუშაობის პარტიისანი არიან. შემდეგი სხდომა დელეგაციის სესიის შემდეგ მოხდება.

400 სტუდენტმა დემონსტრაცია გამართეს უნივერსიტეტისა, მეფისა და კოშუტის სახლს წინა.

**მატარებლის დაღუპვა.**

**ლონდონი.** დიტტონთან ჩესტერიდან ლივერპულს მიმავალი მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. ლოკომოტივი ხიდს დაეჯახა. შვიდ ვაგონს ცეცხლი წაეკიდა. 14 კაცი დაიწვა, 50 დაშავდა. მგზავრთა გადარჩენას ძლიერ უშლიდა ხელს ცეცხლი.

**სერბია და ბულგარეთი.**

**კელნი.** „კელნიშე - ცაიტუნგს“ სტამბოლიდან ატყობინებენ, სერბია და ბულგარეთი ოსმალეთის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის შეთანხმებულა და თუ საჭირო იქნება, არავის დაერიდება, თუნდა იმავ ავსტრია-ჰუნგრეთსა და სხვა სახელმწიფოებსაო.

**ბელგრადი.** ძველი სერბიიდან მოსული ამბები ხალხს ბრძოლის გუნებაზე აყენებს. მთავრობა, მიუხედველად სამხედრო მზადებისა, გაიძახის: სერბია თითონ თავის ღლეში მშვიდობას არ დაარღვევსო. თუ ბულგარეთმა სამხედრო მოქმედება დაიწყო, მაშინ, სერბია იძულებული იქნება ბრძოლაში ჩაერიოსო.

**ჩინეთის სესხი.**

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოსათვის“ ჩინეთის სესხის მომხერხებელს ვენდელ ჯეკსონს შემდეგი უთქვამს: ჩინეთის მთავრობას ლონდონის თავის ელჩისათვის დაუვალებია შეატყობინოს ინგლისს, ჩვენმა ელჩმა ჩინეთის მთავრობის დავალებით მოაწერა ხელი სასესხო ხელშეკრულებასა და არც აპირებს იმაზე ხელის აღებასაო. ნახევარი მილიონი გირვანქა ამ კვირას უკვე აუღიათ. ირწმუნებიან, ეს სესხი არც ამერიკის მთავრობას მოსწონს, არც ინგლისისასაო.

**რუსთა სკოლები.**

**ლვოვი.** რუსთა აღმზრდელმა სასწავლებლებმა სასკოლო საბჭოებისაგან განკარგულება მიიღეს: მოწაფეთა სადგომებში რუსის მწერლების სურათები ნუ იქნებაო. აღუკრძალავთ აგრეთვე რუსულის სწავლება და რუსული წიგნების კითხვა.

**რ უ ს ე თ ი**

**სტოლიპინის ძეგლი.**

**კიევი.** კრეტჩატიკზე, ქალაქის საბჭოს ახლო, წირვის შემდეგ, აკურთხეს სტოლიპინის ძეგლის საძირკველი.

# უცხოეთი

**საერთაშორისო ევქარისტიული კონგრესი.**

ავსტრიის სატახტო ქალაქს ვენაში ამ ჟამად იკრიბება ეგრეწოდებული ევქარისტიული კონგრესი, რომელზედაც დასასწრებლად მოდიან სხვა და სხვა ქვეყნის კათოლიკეთა წარმომადგენლები. ევქარისტიული ანუ, უბრალოდ რომ ვსთქვათ, კლერიკალების კონგრესი დიდი ხნის მოვლენა არ არის ევროპაში; იგი ამ ოცდა ათი წლის წინედ დაარსდა საფრანგეთში, როდესაც სახელმწიფოსა და ეკლესიის შორის შესამჩნევად გამწვავდა დამოკიდებულება. მაშინ კლერიკალებმა თავის გავლენის აღსადგენად მიმართეს უკვე ნაცად საშუალებათ, სახელდობ საზეიმო ლიტანიებსა და რიცხვმრავალ მანიფესტაციებს, რათა მდაბიო მასისთვის ქრელი სანახაობით თვალი მოეჭრა და თავისკენ მოეზიდა. 1881 წელს ქალაქ ლილში, ჩრდილო საფრანგეთში, მოხდა პირველი ევქარისტიული კონგრესი, რომლის მსგავსადაც შემდეგ სხვა ქვეყნებშიც იმართებოდა; მაგრამ ის კონგრესი, რომელიც ახლა ვენაში იკრიბება, გაცილებით დიდი ფუფუნებითა და ზეიმით იქნება მოწყობილი. ავსტრიის კათოლიკეთ, სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო ადვილად შეუძლიახთ სწორედ აქეთკენ, მასის გადაბირებისკენ, მიმართონ თავისი მოქმედება და, მაღალ წრეებში დაკარგული გავლენა, მდაბიო ხალხის მიმხრობით აინაზღაურონ. ან კი სხვა საშუალებით როგორ მოისყიდის კლერიკალიზმი ბრმად მორწმუნე მასის გულს, თუ არა სადღესასწაულო ლიტანიებითა და მანიფესტაციებით, ამიტომ ყველაფრით ხელს უწყობს მას სახელმწიფოც. კონგრესში მონაწილეობენ სამხედრო და სამოქალაქო მაღალი წრეების წარმომადგენლები, უნივერსიტეტები, მასწავლებელნი, თუმცა ეს უკანასკნელნი კანონით განთავისუფლებულნი არიან ყოველგვარ პროცესიაში მონაწილეობისაგან. კონგრესის მონაწილეთ ქალაქმა ბინად დაუთმო სასწავლებლების შენობები, რის გამო სწავლის დაწყება ერთი კვირით გადასდვეს. ვენის თავად—არქიეპისკოპოსის, კარდინალ ნაჩლის წინადადებით ქალაქის თვითმართველობამ მცხოვრებთ დაავალა, ქალაქი დროშებით მოერთო. ვენის როტონდოში, რომელიც 6000 კაცს იტევს, და აგრედვე სხვაგანაც იმართება ქადაგება, მისტერიები, სასულიერო შინაარსის წარმოდგენები და სხვ. ქალაქის სხვა და სხვა მოედანზე აღმართულია ტრიბუნები, სადაც საჯაროდ მოხდება მლოცველთა ზიარება. დასასრულ ლიტანიაში მონაწილეობას მიიღებს თვით იმპერატორი სახლობით. რკინის-გზებისა და გემების გამგეობათ მიწერილობა დაეგზავნათ, რათა შეღავათიანი პირობებით გადაიყვან-გადმოიყვანონ კონგრესის მონაწილენი. კლერიკალების საპასუხოდ ანტიკლერიკალებმა შემდეგ ხერხს მიმართეს: თუმცა ავსტრიაში კანონით შეზღუდულია ბეჭვდითი ნაწარმოების თავისუფლად გაყიდვა-გავრცელება, მაგრამ მიუხედავად ამისა კონგრესის მოთავეებმა ასი ათასობით გაავრცელეს თავისი ჟურნალები ეკლესიებსა, თუ სხვა ადგილებში; მაშინ ანტიკლერიკალებმაც იმავე საშუალებას მიმართეს და გამოსცეს თავისი ფურცლები, რომელიც მილიონობით დარიგდა ვენასა და სხვა ქალაქებში. დაფაცურდნენ კლერიკალები და პოლიციის დახმარებით მიესიენ ფურცლების დამტარებლებს. მარტო ვენაში ერთ დღეს დააპატიმრეს 200 კაცზე მეტი, რომელთა შორისაც იყვნენ გამოჩენილი პირები: ექიმები, ვექილები, ინჟინრები და სხვ. თავის თავად იგულისხმება, რომ თავისუფალ-მოაზრეთა კრებებიც აკრძალეს კათოლიკეთა საამებლად. მაგრამ კონგრესისტებმა ესეც არ იკმარეს და მათი ორგანოები აშკარად მოითხოვენ მთავრობისაგან ლიბერალების საგრძნობლად დატუქსვას. ასე რომ „კლერიკალების კვირიაკე“, რომელიც დიდებული ზეიმით უნდა მომხდარიყო შესაძლებელია არა სასიამოვნო შეტაკებით დასრულდეს.

**მაროკოს მდგომარეობა.**

მკითხველს ალბად მოეხსენება, რომ ამ ხუთი წლის წინად გერმანიასა და საფრანგეთს შორის ატეხილი დავა მაროკოს შესახებ ალჟეზირასის კონფერენციით დასრულდა, საფრანგეთმა დიდი მსხვერპლით მიაღწია თავის გულის ნადებს: ევროპამ ერთხმად მიანდო მას მაროკოში უცხოელების ინტერესების დაცვა და ქვეყანაც მის პროტექტორატობის ქვეშ დააყენა. მას შემდეგ საფრანგეთი ისე ეპყრობა მაროკოს, როგორც საკუთარ ახალშენს და ცდილობს ევროპიული წეს-წყობილების შემოღებით სრულიად გააქარწყლოს მაროკოელთა ცხოვრების თავისებური სახე. რესპუბლიკის მთავრობამ წრეულს ტახტზე ხელი აღებინა უკვე მაროკოს სულთანს მულაი-ჰაფიდს და საფრანგეთს გაისტუმრა. მაგრამ მაროკოს მეომარი და თავისუფლებას მოყვარული თემები აგრე ადვილად ვერ შეურიგდნენ განათლებული საფრანგეთის ქირისუფლობას და იარაღით შეებრძოლენ ახალ ბატონებს. თითქმის ყოველ წელს ხანდაზმით ხდება ამა თუ იმ თემის აჯანყება, რომელსაც რესპუბლიკის მხედრობა ხიშტ-ზარბაზნებით აქრობს ხოლმე. წრეულს, როდესაც მულაი-ჰაფიდი საფრანგეთს გადაასახლეს, გამოჩნდა ტახტის ახალი მაძიებელი, რომელმაც მაროკოს თითქმის მთელი სამხრეთი მიიმხრო და დაიპყრა დიდი სავაჭრო ქალაქი მარაკეში. ქალაქის დაპყრობამ მეტად გაუთქვა მას სახელი და სულ ცოტა ხნის განმავლობაში მისი დროშის ქვეშ მოგროვდა 6000 კარგად შეიარაღებული მეომარი. საფრანგეთის ჯარი, რომელიც სხვა და სხვა ადგილს იყო გაბნეული, ვერას გახდა მის წინააღმდეგ და იძულებული შეიქნა დამხმარე რაზმისთვის ეცადნა. აგვისტოს შუა რიცხვებში საფრანგეთიდან მოვიდა ღენერალ ლიოტეს დიდი რაზმი და აქედან დაიწყო პირდაპირ ნამდვილი ომი. პოლკოვნიკი მანჟენი დიდი ენერგიით ეკვეთა მარაკეშში გამაგრებულ ტახტის მაძიებელს და დიდი ბრძოლის შემდეგ არტილერიის შემწეობით ნაცარ ტუტად აქცია ქალაქი. თვით პრეტენდენტი გაიქცა, მაგრამ ამ გამარჯვებით მაინც არ დასრულდება მაროკოს აჯანყების ხანა. კიდევ ბევრი ყუმბარა და ჯარის-კაცი დასჭირდება „თავისუფალ რესპუბლიკას“, სანამ მაროკო სრულიად „დამშვიდდებოდეს“.

# ღენ. ნოგის თვითმკვლელობა.

ვის არ ახსოვს პორტარტურის ალყის ამბები, რომელმაც მთელი ქვეყანა გააკვირვა. მაშინ ყველას ენაზე ეკერა ღენ. ნოგის სახელი, რომელიც იაპონიის მოალყე ჯარს სარდლობდა. განსაკუთრებული სიყვარული და სახელი დაიმსახურა ნოგიმ მას შემდეგ, რაც ერთად ერთი შვილი შესწირა სამშობლოს პორტარტურის ერთ-ერთი იერიშის დროს, მისმა კაცთმოყვარეობამ და გულკეთილობამ, რომელიც მან რუს ტყვეთა მიმართ გამოიჩინა ციხის აღების შემდეგ, მთელი ქვეყანა მოხიბლა. ნოგიმ თავისი ხელით დაუბრუნა ღენ. სტესელს ჩამორთმეული ხმალი და თან საუკეთესო ცხენიც აჩუქა. პორტარტურის აღების შემდეგ, როგორც ვიცით, ნოგი შეუერთდა ოიამას ლაშქარს და ჩვეულებრივი მამაცობით იბრძოდა მუკდენთან. ომის გათავების შემდეგ იგი დაბრუნდა სამშობლოში და აქ, ბავშვებით გარსშემორტყმული გმირი, ფეხით გაემართა მიკადოს სასახლისკენ.

— აი, ესაა!

ამბობდნენ იაპონელები, თითქოს იმ აზრით, რომ იგი ჩვენია, ჩვენი გმირიაო.

და, აი, ამ ეროვნულმა გმირმა თავისი ნებით მუცელი გამოიფაშვა თვისი მბრძანებლის, იაპონიის იმპერატორის დასაფლავების დღეს.

გაზ. „რუსკოე სლოვო“ შემდეგს დაწვრილებით ცნობებს იძლევა ამ ამბის შესახებ: ღენ. ნოგიმ განაცხადა, რომ მას აღარ სურს იმპერატორის სიკვდილს შემდეგ სიცოცხლე და გადასწყვიტა ხარაკირით (მუცლის გაჭრით) სიკვდილი. მისი მეგობრები საიდუმლოდ ინახავდნენ ასეთ გადაწყვეტილებას. საღამოს ნოგი მივიდა მიკადოს კუბოსთან, მიუძღვნა გვირგვინი, მხურვალედ ილოცა და შემდეგ უმაღლეს საბჭოს სხდომას დაესწრო. იმპერატორის დასაფლავების შემდეგ, ნოგიმ კვლავ ილოცა ბომონში და თავის ცოლს შეატყობინა საკუთარი გადაწყვეტილება; ცოლმა დასტური მისცა და განაცხადა: მეც შენთან მოვკვდებიო. ხარაკირის გაკეთების დროს მასთან შეიკრიბნენ მეგობრები და თანამოსამსახურენი. ნოგიმ გადასცა მათ იმპერატორისადმი მიწერილი ბარათი და აგრედვე ანდერძი, რომლითაც მთელ თავის ქონებას საქველმოქმედო მიზნისა, ომში დახოცილთა და ახლად გარდაცვალებული იმპერატორის ძეგლის ასაგებად სტოვებს. ნაშუაღამევის ორ საათზე ღენერლის მეგობრები მის კაბინეთში გავიდნენ. ერთმა ახლო მეგობართაგანმა გადასცა მას მისი წინაპრის—სამურაის ხმალი. მოხუცმა ღენერალმა მარჯვე მოქნევით ჩაიცა იგი მუცელში და ნახევარი საათის შემდეგ გარდაიცვალა. იაპონური გაზეთები აღტაცებულ წერილებს უძღვნიან ამ ამბავს და ერთხმად აღიარებენ, რომ ნოგი მოკვდა, როგორც ნამდვილი სამურაი (ძველი მეომარი) და მით მაგალითი უჩვენა მომავალ თაობასო.

რედაქტორ-გამომცემელი **ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა

(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **სწრაფი** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ., ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **სწრ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საავარაკო მ ა ტ.** № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საავარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: სწრაფი** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ.** და **საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109/104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **სწრ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **სწრ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან: საავარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საავ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9/10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7/8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: სწრ.** № 72/73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან სამგზ.** და **სახ.** № 80/81, შუადღის 2 ს. 48 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110/111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები: 1, 2—9 პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. ლ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5, ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადება ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის საავადმყოფოს კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, დეზერტირების მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიგის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მაიდანის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. ჟამთელოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

## გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 2 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამე 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩს, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ **ტფილისში** ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახანისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის 8 ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.


# განცხადებანი

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ბადჯანოვი**—საშარდე ორგანოთა, ათოშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 1—12 ს.

**ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრევზსა ხულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილი 11—12 საათამდე.

**კიმხტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

**ა. დ. კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონით და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ; რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—შორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან

**წამლობა „606“-ით.**

0—253—

უფლებიანი სავაჭრო სახლი და

## საბუღალტრო კურსები

**ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა**

საკომერციო ცოდნათა გამავრც. საზ. ს.-პეტერბურგის უმაღლეს საკომერციო კურსების პროგრამითა.

სწავლა 15 ენკენისთვეს დაიწყება, მიხეილის პროსპ. ს. № 53. (4.662.1)

## სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კუთხე, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში 1 იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და სამშობიარო საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მიკირტუმოვი.** (თ. 1037.59)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**606** —11—12 ს. **შეხსაუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო. ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბეგტაბიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. ჩ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი**—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ:**

**მ. გ. ბეგტაბიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. 1078.20)

## მკისრულოვ

1. დაგირავებას და გადაგირავებას უძრავ მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრედვე სოფლებში. 2. უძრავ ქონებათა სყიდვ -გაყიდვას. 3. მადნეულობის გამოკვლევას და შემუშავებას. 4. ყოველგვარ თხზებ ს და პიროვის ქაღალდის შედგენას. 5. ხე-ტყის მასალის მსყიდველის და გამსყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღ მეთი ექვსიდან 7 ს.-მდე. ბინა: **ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი **მანთაშევისა**, სასტუმრო „უნივერსალი“, № 2, ტელეფონი № 499.

(25.659.1) **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე**

**გ. და მ. ტერ-დავიდიანცის**

## საბუღალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—19)

## ფეხსაცმელები

**თომა დ. ჯანუარაშვილი**

**მაღაზია-სახელოსნოში**

მუხრანის ქ. № 2.

ყოველ ნაირი ფეხსაც საუკეთ. მასალ, ზომიერ ფასებში.



(25.549.2)

სავაჭრო სკოლა უფლებებით და საბუღალტრო კურსები

**ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეპანოვის.**

მისაღები და დამატებითი გამოცდა დაიწყება 27 აგვისტოდან. მეცადინეობა დაიწყება სავაჭრო სკოლაში 3 სექტემბრიდან, საბუღალტერო კურსებზე სექტემბრის 15-დან. მიხეილის ქუჩა, სახ. № 53. (5.1472.ც)

გამოსულია და იყიდება

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| I ტ. | „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრივობა“ | 80 კ. |
| III „ | „ნააზრევი“ | 65 კ. |
| IV „ | წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. | 85 კ. |

## ხელოვნური ყინული

სუფთა მილის წყლიდან დამზადებული იყიდება

**ფ. კ. შეტცელის მემკვიდრეთა**

ლუდის ქარხანაში, ახალ ნიხრამდე ფუთი ოთხ აბაზად. ვეტცელის ლუდის მუდმივ მუშტრებს შესამჩნევ ფას დაკლებით ეთმობათ. (5.1489.1)

მიიღეთ მარიამობისთვის

**შვედური და დელიკატესნი კილკები.**

თევზის მრეწველნი

## ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

(წ.1131.248)

ბოჭკის საუკეთესო

## ხიზილალა,

**გირვანქა 1 მ. 60 კ.**

აგრეთვე მოგვდის ცოცხალი **ლოქო** და კობრი, |საზანი.|